



სახალხო გვარდიუ

№ 6

სახალხო გვარდიის მთავარი ფტავის ორგანო.

№ 6

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.



1) ნ. ნ. ყორღანიძე, 2) გ. ლორთქიფანიძე, 3) ნ. ნ. რამიშვილი, 4) ე. პ. გიგინეიძე, 5) შ. კიკი-
ნაძე, 6) გ. არსენიძე, 7) დ. ონიანი, 8) კ. კანდელიძე, 9) გ. ერადე.

სიკვდილი მოგავალისათვის, გამარჯვებისათვის.

გადამწყვეტი ომი მიმდინარეობს.

საშინელი სისხლის ღვრა გრძელდება. ფარისევლური მოალაღატეობით მტერია ქურდულად დაეცა ჩვენს განახლებულ დემოკრატიულ სამშობლოს იმ დროს, როცა ქვეყანა ზეიმობდა განთავისუფლების ჟამს და შვილობიანობას მოელოდა. მოლოდინი არ გამართლდა...

აღერბეიჯანში, სომხეთში მოგროვილი, შურის ძიებით აღვისილი წითელ არმილები, რომლებიც ტყვეთ ჩაუვარდნ ხელში ბაქოს ანტიურისტებს, ჩვენს ქვეყანას ცეცხლით და მახვილით დაესხნენ...

ისტორიის მრისხანე და საბედისწერო ბრძოლაში გაეხვია საქართველოს მშრომელი ხალხი. ერთი კვირა გადის, რაც სისხლით იღებდა სამშობლოს საზღვრები, რაც საქართველოში შრომა შესწყდა და მთელი ხალხი, მღელვარებით მოცული, ბრძოლის ქარიშხალშია გახვეული.

რამოდენიმე ათეული ხალხის რჩეული შვილები, სახალხო მებრძოლნი, თავისუფლების გამირები, წუთისოფელს გამოეთხოვეს, ბრძოლის ველზე დაეცნენ. საუკეთესო ნაწილი საქართველოს ხალხისა — ჯარი და გვარდია ერთი კვირაა თვის უმანკო სისხლს ღვრის და სქდავს თავისი სისხლით და ძვლებით სამშობლოს აუცილებელ მამავალს, მის გამარჯვებას და ხალხის გადაარჩენას.

მისი უსწორო ბრძოლით იწერება სრულიად ახალი ისტორიის ფურცელი, და ასეთ დროს არ უნდა იყოს არავისი დაფიქრება, არავითარი შიში, არამედ უმაღლესი სიყვარული სამშობლოს დასახსნელ ომისადმი...

საქართველოს ბარბაროსულად დაესხნენ დამით, ჩუმად, არა ოფიციალურად და საქართველოს ომი არის თავდაცვითი.

საქართველოს ხალხი თავისი რევოლუციონური მოძრაობით, თვისი სისხლით, თავისი წარსული ისტორიით, არას დროს არ მიიღტვოდა ომისკენ. ის იყო ზავისა და ძმობის მოციქული და დღეს, როცა მიუხედავად ამისა გარეშე მოძალადეები ჩვენს ქვეყანაში მოიჭრებიან, ჩვენ ვიცით, ომი იქნება დაუნდობელი და საშინელი. აქ აღარ იქნება არავითარი დათმობა, არავითარი უკან დახევა, არავითარი რყევა, არამედ იქნება ბრძოლა და სიკვდილი თავისუფლებისთვის.

საქართველოს ხალხმა, რომელმაც გას-

ქედა რევოლუციის გვირგვინი თვისი ისტორიული მოძრაობის მსვლელობის დროს, და რომელმაც წამების სისხლით შეღება თვისი ძვირფასი გვირგვინი, ის, სანამ ცოცხალია, არვის ნებას არ მისცემს დასეროს თვისი სხეული და სამშობლოს წამებული გვირგვინი...

რადგანაც ზავის მაგიერ ომი გამოგვიცხავეს, უნდა იცოდეს ხალხის მოალაღატეებმა: ომი იქნება შეუბრალებელი, რეაქციის წინააღმდეგ, ომი იქნება საღრმთო რევოლუციონური ხალხისაგან მანამდე, სანამ „წითელი“ რეაქცია, შავრაზმული იმპერიალიზმი არ დაეცემა და არ ჩაეშვება ისტორიის მიერ გათხრილ სამარეში...

ამ უდიდეს ომის დროს შებრალებული არ უნდა იქნას არც ერთი შინაური მოალაღატე. შინაური იყო, ძმის გამცემი და ფულით მოსყიდული შავრაზმელების აგენტები...

უდიდესი განკითხვის დროს არავითარი შებრალება არ უნდა იყოს, და დემოკრატია უნდა გველვებით გასრისოს შინაური მოალაღატეები.

ჩვენ მოუწოდებთ მთელ ხალხს ყველაფერი ფრონტს შესწიროს, ყველა ფრონტისკენ გაეშუროს. იყოს ერთი ისტორიული ნება — ბრძოლა. თავგანწირვა, სიკვდილი გამარჯვებისთვის.

მტერი უძლიერია, ზნეობრივად გაკოტრებულია, მშრომელი ხალხისაგან განდევნილია, ფიზიკურად გახრწნილია, მხედრულად გარყვნილია და მისი საბოლოო საფლავი საქართველოში უნდა გაითხაროს...

ჩვენ ვიცით იქნება უდიდესი მსხვერპლი საბოლოო საქართველოს განთავისუფლების განთიადზე, ბევრი სიცოცხლით სავსე მებრძოლი მხედარი დაეცემა მრისხანე ომში, ბევრი ზარალი შეგვხდება, ჩვენ ვიცით — იქნება მდგომარეობის გათულება, სიკვდილი, მაგრამ ჩვენ ნებას ვერავინ ვერ შეარყევს, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვამარცხებს და მოალაღატურად წამოსული მტერი, რომელიც შეჩვეულია მსუბუქ გამარჯვებას, აქ, ჩვენ ქვეყანაში მიიღებს უკანასკნელად საფლავს და აქ ნახავს თუ როგორია სამარცხვინო ლაჩრული გაქცევა...

ომს ომით გავცეთ პასუხი, სიკვდილს სიკვდილითვე ვუპასუხებთ და იქნება ბრძოლა დახსნისათვის, იქნება სიკვდილი მოვალეობისათვის და ბრწყინვალე გამარჯვებისათვის...

სამშობლოსათვის განწირულობა ჯარისკაცებო!

თქვენი მამაცობით იჭედება ჩვენი ქვეყნის მუდროება, ხალხის მომავალი, სამშობლოს გამარჯვება. თქვენ უნდა დაახსოვოთ მოალაღატე მტერს თუ როგორია ლაჩრულათ უკან გაქცევა.

ახალი გამარჯვებისაკენ

წირვა იდგა. ერთი კაცი ხელაპყრობილი ევედრებოდა ღმერთს: ღმერთო, მეზოზელი მიცოცხლეო.

გვერდში მდგომმა ყური მოჰკრა და გაუკვირდა: რა ძალიან ჰყვარებია თავისი მეზობელიო.

ნაწირვებს ველარ მოითმინა და დაეკითხა პირველს, როდესაც ეკლესიიდან გამოვიდენ:

— რა სიკეთე გიყო შენმა მეზობელმა ამისთანა, რომ ასე ავედრებდი ღმერთსო.

— შე კაცო, მეზობელი თუ კარგათ მეყოლა, თუნდა მე ვყოფილვარ კარგათ, უპასუხა მან, — თუ რამე გამიჭირდა, დამეხმარება და ამას რა სჯობიაო.

მართლაც, კარგია კარგი მეზობელი.

ჩვენი ხალხი მუდამ კარგი მეზობელი იყო. უძველესი დროიდან არ ყოფილა მაგალითი, რომ ვისმე მიხტომოდეს, თავს დასხმოდეს, აეკლოს, ამოეხოცოს, აეოხრებოდა.

ყველასთან მეგობრობა და მეზობლობა ჰქონდა.

თუ ვინმე დაესხმოდა თავს, მოგვცათ სიცოცხლე, ღირსეული პასუხის გაცემა იმან იცოდა: შეაკვდებოდა მტერს და უკან კი არ დაიხვედა, —


სამშობლოს სიყვარულსა და დაცვაში მას ტოლი არა ჰყავდა,

მაგრამ ხომ მოგვხსენებათ: — არის ისეთი ადამიანიც, რომელიც ეკლესიაში შედის და ღმერთს ევედრება: ღმერთო, მე-



სახალხო გვარდიის მთავარი უბანის


„ზრონობეფქმუფი წვერები.“



ზ. გურული.



ალ. დგებუაძე.



მ. ჯიბლაძე.



ვ. ჯუღელი.



მ. ხალირაშვილი.



ბ. დგებუაძე.




გლაზიანი.



ი. ხარაში.

ნი
ბა
დებთ
ავითა
ეს „ს
დულა
ს. თ
ჯარი
ნას
ა

ინ
ცემს
დამ
წერ-
ბ
ცემ
ნა
გათ
წა



ზობელი დამიქციეო. რათა, რისთვის, რა დაუშავებია?

არათერი არ დაუშავებია. მაგრამ—მე რათა შევობია და ჩემზე უკეთ რათა სცხოვრობსო.

განძირი ხელი, იშრომე, იმუყაითე და შენც კარგათ იცხოვრებ.

მაგრამ ბოროტი ადამიანი იმის ბოროტია, რომ დღე და ღამე სულ იმასა პთიქრობს. ვინ როგორ დავლუპო და დაგაქციოვო.

აი ჩვენს ხალხსაც სამწყხაროთ ასეთი ბოროტი მიზნობები ჰყავდენ.

სულ იმაზე გჭირათ თვალი, საქართველო როგორმე დაგაქციოთო, ხან ერთი გვისხმოდნა თავს, ხან მეორე.

ჩვენს ხალხს მართლაც დღე გაუშვარეს, მოსვენება დაუკარგეს.

მაგრამ დავსხათ თავსდავი: ჩვენი ხალხი დღესაც ფიხზე დგას და სახელიც ღირსეული აქვს, ცხოვრებაც.

დღევანდელი დრო მეტის მეტათ იშვიათი დრო არის. დანგრეა ძვილი, დახვსებული ცხოვრება და შენდება ახალი.

აი ასეთ დროს არის საჭირო კარგი მეზობელი. ხელი-ხელს მისცემთ ერთმანეთს და საერთო ძალით გაუადვილებთ ერთმანეთს შრომას.

განა ასე არ მოიქცა ჩვენი ხალხი? მან ძმურათ გაუწოდა ხელი თავის მეზობლებს: ახერბეიჯანსა და არარატის რესპუბლიკას.—

ვიყოთ ძმები და მეგობრები, ვიცხოვროთ სიამტკბილობით, დაგებმაროთ ერთმანეთს და დაგაფუძნოთ ჩვენი ცხოვრება ახალს საძირკველზეო. მეზობლები თავიდანვე თაღლითობდენ და მეგობრობის მაგივრათ ჯერ ერთი დაგვესხა თავს, მეტე მეორე.

მეტე რა წაიღეს? შერცხვენა, მეტს რას წაიღებდენ.

კუზიანს სამარე გაასწორებსო, ნათქვამია.

ასეთი კუზიანი გამოდგა არარატის რესპუბლიკა.

ამ ორი წლის წინათ ის იყო უკეთეს პირობებში ვიდრე დღეს: რესპუბლიკის ერთი ნახევარი დღეს ოსმალების ხელშია მეორე ნახევარში რუსეთის კომუნისტები ბატონობენ.

ჩვენ კი უარეს პირობებში ვიყავით, ვიდრე დღესა ვართ.

მიუხედავთ ამისა ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ ერთის დაკვრით მიაშტვრია ფეხები თავხედ მტერს და, რომ არ შებრალეზოდა, შურის ძიება რომ ნდომებოდა მთლათ ერთიანათ გაანადგურებდა.

მეტე ამ გაკვეთილზე ასწავლა რამე არარატის რესპუბლიკას?

სრულდებით არათერი.

არარატის რესპუბლიკის მეთაურებმა თავისი სამშობლოს ნახევარი ოსმალებს შეარტოვის ხელში, მეორე ნახევარი სხვას მიატოვის და დღეს დამარცხებულები და გაკორტირებულები ჩვენს რესპუბლიკას ესხმიან თავს.

თმერთი რომ კაცს გაუწყობდა უმალ ჭკობას დაუკარგავსო, სწორეთ ამზეია ნათქვამი.

რა აქვს საჩხობარი ან ვის ეჩხობება? განა არარატის რესპუბლიკას დღის ორი შვიძლია?

არარატის რესპუბლიკა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მტერი რომ თავს ესხმოდის, ყოველ ომის უნდა ხმარობდეს, რომ მორიგებით გაათაოს საჩხი.

მიუხედავთ ამისა თავს გიხსმის.

როდისაც ამ ორი წლის წინეთ დაგვესხა თაის ამგვართვი იტრაჯოლათა და მუხანათურათ, რა წაიღეს? შერცხვენილი, დამარცხებული და კუდაშოძეებული გაბრუნდა უკან.

გერაგობა და მუხანათობა დაშნაკლებს მემკვიდრეობით გადაუკრიათ არარატის კომუნისტებისათვის.

რაკი წერას აუტრუებია, ჩვენი ჯარი და გვარდია ღირსეულათ დააჯილდოვებს: უარეს დამარცხებასა და სირცხვილს მიაკრავს ზურგზე და ისე გაისტუმრებს უკან.

ვისაც ჩვენთან მეზობლობა და კეთილი განწყობილება არ უნდა, ის ჩვენი ჯარისა და გვარდიის რისხვას შეეყრება.

ის ურჩვენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, უთქვამთ ჩვენს ძველებს.

რატომ უთქვამთ? იმიტომ რომ ღირსეულათ იცავდენ თავის სამშობლოს და უნდოდათ, რომ ჩვენ კიდევ უკეთ დაგვეცვა.

ფიცავ მამულისა და თავისუფლებისათვის თავდადებულთა წმინდა საფლავს რომ შვილები წინაპართა ხსოვნას არ შეარცხვენენ და ახლგაზრდა რესპუბლიკას ფეხქვეშ არავის გაათელვინებენ.

ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ ბევრჯერ დაამტკიცეს თავისი თავგანწირვა და სიმამაცე.

ახლაც დაუმტკიცებენ თავხედ მტერს, თუ რა არის ჩვენი რესპუბლიკის ჯარი და გვარდია.

ვისი იმედი აქვთ არარატის ნაცარქეჩებს?

ადერბეიჯანის კომუნისტებისა. ჩვენი ჯარი და გვარდია იცნობს ამათაც, რა შვილებიც არიან.

მკედარი მკედარს აეკიდა, სამარემდე მიმიტანეო.

რაკი მაინცა და მაინც სამარე მონატრებიათ, ჩვენი ჯარი და გვარდია—რა გაწყობა—გაუწევს ამ უკანასკნელ სამსახურს.

რა უნდათ არარატის გირებს? დემოკრატიული საქართველოს დანგრევა, ჩვენი რესპუბლიკის დასამარება.

ჩვენმა რესპუბლიკამ მთელს შეგნებულ კაცობრიობას დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლათ არსებობა და ის ღირსია დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა.

მთელმა ევროპამ დაადასტურა ეს და მიიღო თავის ოჯახში საქართველო სრულ უფლებიან წევრათ.

არარატის რესპუბლიკის მეთაურებმა კი თავისი სიბეცითა და უგუნურებით თავისი ხალხი დალუპეს, ევროპის თვალში სახელი გაიტყვეს, ყოველგვარი ნდობა დაჰკარგეს და დღეს მეტი ველარაფერი მოუხერხებიათ, რომ ჩვენ დაგვანგრიონ როგორმე.

ვერა შენ! ცუდათ ჩაგივლისთ თქვენი ბოროტი განზრახვა:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები მიუვალაო.

მას ისეთი დარაჯი ჰყავს—ჯარი და გვარდია, რომელსაც არა ერთი და ორი მტრისათვის ჩაუმტვრევია კბილები.


მას ისეთი დარაჯი ჰყავს, რომელთანაც პირდაპირ შებმას არარატის ნაცარქეჩები ვერც წინეთა ჰბედავდენ, ვერც ახლა: ქორდულათ მოპარვა, მოტყუებით, ვერაგულათ თავდასხმა მათი ხელობაა.

სამი წელიწადია, ჩვენი ხალხი, ჩვენი ჯარი და გვარდია გოლიათის შრომას ეწევა და აშენებს თავის კოხტა დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ამ სამი წლის განმავლობაში მრავალი საფრთხე აღიმართა მის წინაშე, მაგრამ ჩვენი ხალხის, ჯარისა და გვარდიის გული ვერაფერმა ვერ გატეხა.

ამ სამი წლის განმავლობაში დიდი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ, მაგრამ მსხვერპლი მას არ აშინებს.

დღე, იცოდეს ყველა მტერმა და ორგულმა, რომ ჩვენი რესპუბლიკა მტკიცეა და უძლეველი: მის სადარაჯოზე სდგას ჯარი და გვარდია, რომელთა ვაჟკაცობაში ჩაქსოვილია დიდი შეგნება და დიდი სიყვარული რესპუბლიკისა.



ჩვენს ჯარსა და გვარდიას არა ერთი და ორი ბრწყინვალე გამაჯვება ჩაუწერია თავის ისტორიაში.

მტერს უნდა მაინცა და მაინც, რომ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ამშვენებდეს ჩვენი ჯარისა და გვარდიის სახელს. კეთილი!

მ.ლუ ვნახავთ, რომ დამარცხებული და შერცხვნილი მტერი უკან გარბოდეს, როგორც ამ ორი წლის წინეთა გარბოდა შულავერიდან.

მალე ვნახავთ, რომ ძლიერმოხილი ჯარი და გვარდია შინ ბრუნდებოდეს გმირულის სიმღერითა და საქმით გულმხიარული.

სირცხვილი იმას, ვინც მშვიდობის მოყვარე და უწყინარ მეზობელს ქურდულათა და ვერაგულათ თავს ესხმის.

სახელი და დიდება ჩვენს ჯარსა და გვარდიას.

ივ. გამართელი.

თქოს მზად არიან მოლაპარაკებით, მშვიდობიანათ დაბოლოვონ სადაო საქმე, სიტყვით ყურებს გვიქედავენ მშვიდობიანობის მოყვარულებაზე, ნამდვილად კი ამავე დროს ემზადებიან და აწყობენ ქურდულად, მუხანათურად თავდასხმას. ასე მოიქცა გასულ წელს ადერბეიჯანის კომუნისტები.

ასევე მოლაპარაკებულად თავს დაგვესხა არარატის „სოციალისტური“ რესპუბლიკა.

„გაწიილებული“ სომხეთმა ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენ მშრომელ ხალხს ძალათ თავზე მოახვია ოძი.

ძან მშვიდობიანობას, კეთილ ურთიერთობას, გულწრფელ მეზობლობას არიან მტრობა, ძური, სისხლის ღვრა.

ასეთია კომუნისტების ბუნება.

სადაც ისინი ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას იქ უსათუოდ უხდა გაამეფონ ნოცვა-ქლქა.

მეზობლების არ გატანა, მუდმივი მოუსვენრობა, ოძი, — არა ასულღაჟულებს კომუნისტებს.

მუშათა კლასს და საზოგადოათ მშრომელ ხალხს არ გასჩენია ისეთი მტერი, როგორც არიან კომუნისტები. ამათ დაქსაქსე მუშათა კლასი, შეიტანეს არევა-დარევა, დაუპირდაპირეს ერთი ნაწილი მეორეს, ერთი ქვეყნის მუშათა კლასი მეორე ქვეყნის მუშათა კლასს, დაბადეს ძური, მტრობა, ღვარძალიანობა, ოძი, განადგურეს ნიკთიერი და სულიერი კულტურა და ასე ამ რიგად დიდი ხნით უკან დასწიეს სოციალიზმის საქმე. ამგვარ პარობება მანელ-ნელა სუსტდება და დონე ეცლება მუშათა კლასს და ეს იმ დროს, როდესაც საქირია და ისე საქირია, როგორც არასოდეს, მთელი ქვეყნის მუშათა კლასების გაერთიანება, მქიდროთ შეკავშირება, ორგანიზაციულად მოწყობა, რომ საერთო ძალით დასძლიონ და გადალახონ შექმნილი ეკონომიური და სულიერი კრიზისი.

კაცობრობას საშინელი სენი გაუჩნდა ბოლშევიზმის სახით;

ბოლშევიზმი შეიჭრა მუშათა კლასის გულში, ღრღინის და სისხლიდან სცლის.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, დემოკრატია, ენერგიულად უნდა შეებრძოლოს ამ საშინელ სენს, წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალიზმის საქმე დიდი ხნით დაიმარხება, გაჭირვებულ ხალხს არაფერი ეშველება.

საქართველოს დემოკრატია და მისი ნდობით აღჭურვილმა მთავრობამ ყო-

ველი ღონე იხმარა მშვიდობიანათ და კეთილ მეზობლური განწყობილება დემყარებია მეზობელ სახელმწიფოებთან, მარა ამათ.

არავითარმა მოლაპარაკებამ, არავითარმა დათმობამ არ გასჭრა: არარატის „სოციალისტური“ რესპუბლიკა ქურდულათ თავს დაესხა ჩვენს დემოკრატის, ოძი გაუმართა, სისხლი დაღვარა.

ის ლამობს ჩვენი ახალგაზრდა ჯარის და სახელოვან გვარდიის დამარცხებას, განადგურებას, საქართველოში შემოჭრას და მთელი ქვეყნის აოხრებას, გამარცხვას.

მარა ტყუილი იმედია. ბევრჯერ გაუტრუვდათ იმედი და ახლაც, ღრმად დარწმუნებრლი ვართ, შესაფერ პასუხს გასცემს გათავხედებულ მტერს ჩვენი ჯარი და გვარდია.

საქართველოს მუშათა კლასი, მთელი დემოკრატია, მთელი ერი ფეხზე სდგას და როგორც ერთი კაცი მზად არის მტერს შენანაოს მისი თავხედობა.

მტერი უნდა დამარცხდეს ისე, რომ სამუდამოთ წაერთვას ოძის ხალისი.

მტერმა უნდა დაიჩქროს ჩვენი სამხედრო ძალების-ჯარისა და გვარდიის ძლიერების წინაშე.

და ეს ასეც იქნება.

ჩვენი ჯარის და გვარდიის სიმტკიცე, რევოლიუციონური რწმენა და თავდადება, სამხედრო ცოდნა და გამოცდილება სრული თავდება იმის, რომ მტერი სასტიკად დამარცხდება, თავს მოიდრეკს და პატიებას ითხოვს.

მხედრებო, წინ მედგრად!

კ. ჟ—ნტი.

ოძი გრძელდება. მტრის უკანასკნელი საფუჯავი საქართველო- ში გაითხრება.

მუხანათური თავდასხმა.

მაშ ასე. „გაწიილებული“ სომხეთი თავს დაგვესხა, ჩუქათ, ქურდულად, მუხანათურად.

სომხეთის „სოციალისტურმა“ რესპუბლიკამ კომუნისტების მეთაურობათ არ მოისურვა მშვიდობიანათ გაეთავებია ჩვენთან თუ რაიქე სადაო საქმე ჰქონდა.

ძან იმდენი მოქალაქობრიობაც კი ვერ გამოიჩინა, რომ განეცხადებია: არ მსურს მშვიდობიანობა, უნდა გეომოთო. კომუნისტების ზნეობა გაიხრწნა, მათი ზნეობა ბურჟუაზიულ ზნეობაზე ბევრით უფრო დაბლა დაეშვა.

ბურჟუაზიულ-ბიუროკრატული მთავრობები, როდესაც მოლაპარაკებით ვერ თანხმდებოდენ, მაშინ ისინი გამოიწვევდენ უკან თავიანთ დიპლომატებს, ელჩებს, სწყვეტდენ ერთმანეთთან ყოველივე კავშირს, შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადებდენ ოძს, რის შემდეგ დაიწყებოდა შეტაკებები.

კომუნისტები კი ჯერ დაიწყებენ მოლაპარაკებას, თავს ისე აჩვენებენ თი-

მეორეთასო სახალხო გვარდიელებო! თქვენს თავგანწირულ ბრძოლას შესცქერის მთელი საქართველოს ხალხი... მთელი მსოფლიო... თქვენ დასწერეთ ისტორიის სახალი ფურცელი. გაუმარჯოს თქვენს ბრძოლას!.



ტფილისთან

სადღეგრძელო იყოს მისი
ვინც ომებში იწოდა,
ვინც ირაკლის მარადისი
აღტაცება იცოდა!
მოდლიდა ერთზე ასი —
გზა გვშვენოდა დიდების!
ჩვენ დავცალათ ყველამ თასი
მტერთან არ-დარიდების!
სადღეგრძელო იყოს მისი
ვინც შიშმა ვერ დახარა.
ავდგეთ ფეხზე და ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა.
ამგზნებელი ჟრუანტელი
ვის სისხლში არ ენთება,
ოდეს მისი დღევანდელი
გული გაახსენდება.
იყოს მისი მთა და ველი
ჩვენი ზრუნვის საგანი,
რომ დაინთოს ერთი ძველი,
ძველი გროვალთავანი.
მის კარებთან გვეჩვენება
ჩრდილი არე-დარევით,
რომ წყევლა და შეჩვენება
დახვდეს მეგობარივით.
თითქო კარი დარაზოდეს
სურთ ტფილისის მიგნება.
არასოდეს, არასოდეს!
ის ხეივი არ იქნება.
აქ სივ ილი და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება —
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!

*
**
გ. ვაჭაშვილი

**გაუმარჯოს სახალხო
გვარდიას!
გაუმარჯოს ჯარს!..**

ოპი აღარგვიჯანთან

(„Тяжелый крестъ“-იდან)

11 მაისი 1920 წ. ლერბადინი

ნაშუადღევს 2 საათია,

ამ ჟამად ფრონტზე სიწყნარეა. გუშინ ჩვენები კარგად, დიდებულად უტყვევენ. ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობს, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთის ორი პოლკი მაინც და ადერბეიჯანის ბანდები. ჩვენ კი ჯერ გვყავდა ცხენოსანთა რაზმი, განსაკუთრებული ბათალიონი, პირველი სამეგრელოს ბათალიონი და ნაწილი სიღნაღის ბათალიონისა, გუშინ ჩვენ ექვსი ვერსით წინ წავაწიეთ, და გუშინდელ დღეს მოგვიკლეს ერთი და დაგვიჭრეს 21. სენაკის და განსაკუთრებული ბათალიონები გააფრებით უტყვევენ.

ჩვენი მარჯვენა კოლონა დილით გამოვიდა სადახლოდან და გაიარა რა კარაგანი, ის აღის ბაბაკაირის და ტარსის მთებზე. დღეს ჩვენ შეგვხვდა სროლა მოწინააღმდეგეთან. მე დავიხსენებ მტრის ცხენოსანთა ნაწილები-კარგი სანახავია.

ხვალ ჩვენ გადავდივართ საერთო შეტევაზე მდინარე ხრამის ორივე ნაპირებზე.

12 მაისი 1920 წ. შიხლო.

შუა დღის 12 საათი.

ანგარიშს ვადგენ. შუადღის ნაღვლიანი და მზიარული ანგარიშია. დილის 3 ს. ორივე ჩვენი კოლონები გადავიდნენ შეტევაზე. მარჯვენა ნაპირას კოლონის უფროსია ხიმშიაშვილი, მარცხენასი — ვანო ცომაია. ხიმშიაშვილის კოლონა უფროსად სადახლო-ტარსის ბაბაკაირ ასლან ბეგის ხაზით, ცომაიას კოლონამ შეუტია გათენებამდი წითელ ხიდზე მოწინააღმდეგეს ეჭირა საუცხოვო პოზიციები, მას ყავდა დადი ძალები, ბევრი ტყვია-მფრქვეველები და სხვები ზარბაზნები. საძაგელი დილა იყო, წვიმიანი. ჩვენები წყნარად გაიშალენ და გადავიდნენ ხელჩართულ ომზე. მე, ალექსანდრე და ლადიკე ვიყავით მარცხენა ფრთაზე; ალექსანდრე ძალიან ავით იყო, მარა ჩვენ ის ვერ გავაჩეოეთ ზურგში. ის, ძლივს დადიოდა.

ჩუმად, გაუსროლელად მიიწვედნენ ჩვენები მოწინააღმდეგე-საკენ. უცებ მოწინააღმდეგემ ას ლეხა ძლიერი სროლა თოფებით და ტყვიამფრქვეველებით, რომელსაც ეხმარებოდა არტილერია. ჩვენ მივდიოდით სრულიად გაშლილ მინდორზე მოწინააღმდეგეს ეჭირა დიდებული პოზიციები ისინი პირდაპირ გვიმიზნებდნენ ჩვენ და ყოველ ჩვენს მოძრაობას ხედავდნენ. მარა ჩვენი შეტევა იყო ისეთი მოულოდნელი და მედგარი, გვარდიელები ისე მწყობრად და გაბედულად მიდიოდნენ, რომ მოწინააღმდეგემ სრულიად ვეღარ გაუძლო ჩვენს იერიშებს. დრო გამოშვებით არე მარეს აყრუებდა ჩვენი „ვაშა“ და ამ მწყობრმა „ვაშამ“ მოწინააღმდეგე სრულიად დააბნია. დილას 5 ს. ჩვენ უკვე დავიჭირეთ წითელი ხიდი. პოზიციებიდან განდევნილი მოწინააღმდეგე უწესრიგოდ გროვდებოდა, თავს უყრიდა წითელ ხიდთან და ჩვენი მათ ვხრეტდით. ჩვენ მივედით მოწინააღმდეგის არტილერიასთან ას საყენზე, რომელიც უშედეგოდ გვესროდა, მარა ვეღარ შევძელით შეგვეტია, რადგან ჩვენ წინ იყო დიდ მდინარე ხრამი. და ჩვენ თვალწინ მტერმა მოხსნა ზარბაზნები და წაიღო. და სწორედ ამ დროს ხიმშიაშვილის კოლონა უტყვედა მოწინააღმდეგეს ბაბაკაირის მთიდან. წითელ ხიდთან დაპარცხებულმა მოწინააღმდეგეებმა დაუწყეს შეგროვება თავის ძალების დანარჩენებს და ცდილობდა გამაგრებულიყო შიხლის სიმაღლეებზე, მაგრამ ჩვენებმა 12 ზარბაზნიდან დაანთეს გრიგალისებური ცეცხლი ამ სიმაღლეებზე და მოწინააღმდეგე თავზარდაცემული სრულიად უწესრიგოდ გარბოდა. ამ დროს სწორედ მე ვიყავი ჩვენს არტილერიასთან და ვათვლიერებდი — როგორ სცემდა

მოწინააღმდეგეს. ჩვენთან უფრო დიდი რაზმიც.

ჩვენ გვაქვს საგრძნობი დანაკლისი. მიძიმე დანაკლისი! არა რაოდენობით, არამედ თვისებით. მოკლეს ფოთის ძველი მუშა გოგიაშვილი, ამხანაგი ხუბუტია, ლაბაძე და რამდენიმე სახელოვანი გვარდიელი. მარა საბედნიეროდ ჩვენი დანაკლისი დიდი არ არის! მოწინააღმდეგეს რომ შეძლებოდა უფრო მეტი ბრძოლის უნარის გამოჩენა, მას შეეძლო მოეყენებინა ჩვენთვის საშიშელი ზარალი. ჩვენ ხომ ვყავდით მას ისე გაშლილ მინდორზე, როგორც ხელის გული!

ეხლა სროლა აღარ არის. მოწინააღმდეგე თუმცა მწყობრად, მარა საჩქაროთ უკან იხევს. ხიმშიაშვილის კოლონა ცდილობს თავი დაუსწროს. არ ვიცი მოახერხებენ ამას თუ არა.

გვარდიელებმა ყოველ მოლოდინს გადააქარბეს. ისინი იბრძოდნენ როგორც რევოლუციის გამირები!..

ვალეკა ჯუღელი.

**ქართველო დედებო,
ქართველო ქალებო!
თქვენი საუკეთესო შვილები თავ-განწირულ ბრძოლაში არიან.
უველამ საქმისაკენ!..**

საქართველოს გზა კედავ უფრო გაგრძელდება.

რა არის ბედნიერება? რაში მდგომარეობს ის? ამას სხვა და სხვა შეცნინიერი სხვადასხვა ნაირათ ხსნიან და სხვა და სხვა გვარ პასუხს იძლევიან ამაზედ; მხოლოდ ერთში კი ყველანი თანხმდებიან, რომ ბედნიერება არის ნატვრის აღსრულება, სურვილის განხორციელება და ოცნების განსახიერება. —

სწორედ ასეთი ბედნიერება დაგვიდგა ჩვენ, აღსრულდა უდიდესი ნატვრა და ოცნება ჩვენი და ჩვენ სახელოვან წინაპართა: ჩვენი სიკეკოუტით და სინარჩარით აღსავსე დედა-სამშობლო განთავისუფლდა და სამუდამოთ მოიშორა მისი მონობის და დამკირების შავი ჩაღრი.

მუშა ბოქლოაძის და გლეხი გოგია უიშვილის შეერთებულმა კურთხეულმა მარჯვენამ უდიდებულესი ისტორიული აქტი შეასრულა — დაიშვიდრა და განამტკიცა თავისი სამშობლო: დემოკრატიული საქართველო.



მრავალი გაჩნდა მტერი, მრავალს აღუძრა შური ჩვენმა თავისუფლებამ და ჩვენმა ბედნიერებამ, რადგან საქართველო მათთვის ტკბილი ლუკმა იყო, მარა მუშა ბაქულაძის და გოგია უაშვილას შეერთებულმა მარჯვენამ ადრევე ჩაუკლა მათ გულში მათი შავი ზრახვანი.

დღესაც ადგა მუხთალი მტერი და ცდილობს გაავერანოს და გააბარტახოს ჩვენი სამშობლო თავისი ბინძურის ხელით, მარა მუშა მოქულაძის და გოგია უაშვილის კურთხეული მარჯვენა აქაც მტკიცეთ სდგას და თავზარს სცემს საზიზღარ მტერს.

სადაც არის დაიჩოქებს, დაეცემა, და მისი ამოწვდილი ხმალი საქართველოს წინააღმდეგ მასვე ჩაესობა გულში. ის ვერ ეღიროსება თავის შავ ზრახვათა განხორციელებას, ის ვერ ეღიროსება საქართველოს გაძარცვას და აოხრებას.


საქართველოს მზე კიდევ უფრო გაბრწყინდება, კიდევ უფრო აციმკიდება მისი ბედის ვარსკვლავი.

ამის თაადებია ჩვენი ხალხის სიმტკიცე და მისი გამჭრიახობა.

გრ. ლ—შვილი

გვარდ ელის სიმღერა.

აჰა, მე უკვე ფრონტზე ვარ და მას ვდარაჯობ თოფითა: მტერს ტყვიით ვუმასპინძლები, მოყვარეს ვკოცნი ძმობითა! სისხლი არ მიყვარს, მაგრამ როს არ სცხრება მტერი ვერაგი, სახლში მეჭრება, რომ ცოლ-შვილს გამიძროს კაბა, პერანგი; თავისუფლებს ყვავილი დამიქნოს, გამიტილოს, წამრტაცოს დროშა წითელი, აგერ რომ უტხოთ ფრიალობს; მონის უღელი დამადგას და ამიოხროს ქვეყანა, — ამ დროს ვუტკირო გულ-გრილათ მეპატრება ეს განა? ჰო და, მეც ვიბრძვი ლომურად, საზღვარზე ვდგავარ თოფითა: მტერს ტყვიით ვუმასპინძლები, მოყვარეს ვკოცნი ძმობითა! ქვეყნის ჭირს და ლხინს საკუთარ მხარ-ბეჭით მივეზიდები! შიში რა არის — არ ვიცი: სიკვდილსაც შევეჭიდები! დაცემულს — არ ვცემ, გაქცეულს — უკან არ ვავეკილები, მაგრამ თუ დალატს წავაწყდი — ცეცხლივით წავეკიდები! ვ. რუხაძე.



ილიკა ჯუღელი.

საგანგ. ბათალიონის უფროსის თანაშემწე. მძიმედ დასჭრეს 16 თებერვალს წითელ ხილთან და ჩვენი ნაწილებს უკან დახივის დროს მტერს ჩაუვარდა ტყვეთ.

მოგონება.

სოფელ ასლანბეგთან.

15 მაისია. დღე ნათელი, დღე სამახსოვრო და დღე აუტანელი სიციხისა. შორს მოსჩანს შავი ღრუბლის პატარა წერტილი. ვზივართ სანგრებში, და თითოული ჩვენგანი უთვალთვალავს მტერს, მაგრამ ამაოთ: ის არა სჩნ... მეტის-მეტათ მოსაწყენია ასეთი ლოდინი და გამოურკვევლობა. აქვე ისმის გვარდელების ჩივილი: „გაგაშვით წინ! უქათ დგომა ჩვენ არ გვიყვარს. უნდა მალე მოუთავოთ ხელი მტერს და შევუდგეთ ჩვეულებრივ საქიანობას.“ შუადღე ახლოვდება და რა? ბრძანება მთელი ფრონტის მიმართ, ბრძანება შეტევის დაწყების შესახებ! არტილერია არახრახდა და შეუდგა თავის ამოცანის შესრულებას. ღრუბლის შავი წერტილი სულ იზრდება და თანდათან გვიახლოვდება ჩვენ... ყველა რალაცას მოლოდინშია და ყველას სახეზე ნათლათ არის გამოხატული: სიკვდილი თავისუფლებისა და სამშობლოსათვის...

ჩვენი არტილერია ყოჩაღათ მუშაობდა და მტერებს ხელ-მარჯვეთ უგზავნიდა „კონსერვებს.“ მტრის ბატარეია მოღუნებული იყო და მიზან-მიუხწყველათ გვიპასუხებდა... დღის ორ საათზე გაისმა ბრძანება: „მზვერავები წინ!“ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მიდიან და არაფითარ ყურადღებას არ აქცევენ არც ზარბაზნების რახრახს და არც უკვე მოახლოვებულ შავს ღრუბელს... გაისმა თოფის ხმა. სჩანს — მზვერავები წაწყდნ მტერს. ისინი ხომ ყველა ერთიმეორის მჯობნია, ყოჩაღებია. გიორგი, დათიკო, ლევან, კოტე, ვანო... და ყველა, ყველა მამა-

ცი და ყოჩაღია... დღის სუქი სიციხეში შორიდან მოისმის სიტყვა „მზვერავები წინ!“ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ამოცვივდნ სანგრებიდან და ცოქხალ კედლებათ დაიძრნ წინ. გალაქტონი ყველაზე წინ მიდიოდა და თვალს ადევნებდა წინ წასულ მზვერავებს... არტილერიის რახრახი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. მტრის არტილერია-საც დაეტყო გამოცოცხლება. მთელი კანონადაა. ამ დროს განმავლობაში ჩვენ ზემოთ ჰაერში გამოგვიდა შავი — სეტყვის მომასწავებელი — ღრუბლები... და დრო გამოშვებით მოისმის ციური „ჭეჭა“. მაჯვენა ფლანგზე ისმის თოფის ტაკა-ტაკი — „ბრძოლის სიგნალი“... აი შევეურთთით ჩვენს ძვირფასს მზვერავებს. ყველა ცოცხალია, კარგად არიან, მხოლოთ ერთი, დათიკო, გამოკლებია იმათ ჯგუფს: ის დაჭრილა ფეხში. მას დაადეს ნახვევი და გაგზავნეს შესახვევ ჰუნქტზე. „ბარჯა“ მოუთმენლობას იჩენს: ფეხზე სდგას და ისე ისვრის „ლუისიდან“, „მაქსიმე“ კი შეუჩერებლივ მუშაობს: მტერიც არ გვზოგავს. გაჩაღდა ბრძოლა, ნაძვილი ბრძოლა, ბრძოლა აძდენხანს არნახული. ძველი მეომრებიც კასაგონებელში ჩაკარდნ რა მოხდა? სადა ვართ ჩვენ? აქ ხომ არ არის არც დვისნიკი, არც გიორგივესკი, არც ოსოვეცი! ზარბაზნები მომეტებული სიძლიერით სქექენ და რეზერვს ურტკავენ, მაგრამ ცის გრგვინვა კიდევ უფრო ძლიერია, განოისხებული ბუნება მალლიდან გვიშენს...

საშინელებაგ!.. დაეცა ჩვენი ძვირფასი გალაქტონი, აღარც საშა ალის ცოცხალი! ორთავენი გმარულათ დაეცენ, მტრის ტყვიით გულ განგმირულნი. ჩვენ მათ არ დავივიწყებთ... სისხლს ავიღებთ... დღის 4 საათია. ჯოჯობეთური კანონადაა. ირგვლივ ყუმბარები სკდებიან. არის მსხვერპლიც. მიწის საშინელ ხმაურს ბნას აძლევს ცის გრგვინვა — ჭეჭა, ის უფრო მძლავრი და გამაყრუებელია, მაგრამ ის არ იწირავს მსხვერპლს...

ტატიშვილი.

მოქალაქენო! ომი გრძელდება... საქართველოს ხალხის რჩეული შვილების უმანკო სისხლი იღვრება... უკელამ ფრონტისაკენ!..



მთავრობის თავმჯდომარის გონივრება.

ს ა რ დ ლ ე ბ ე

(საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის სოლქო შტაბებს, ბათუმის საგანგებო ოწყმუნებულს, აფხაზეთის კომისარიატს, საქართველოს ყველა მოქალაქეთ.)

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა. გაბოროტებულ სოახეთს მივხრო ადერბეიჯანი დაიქვგომმა ბალშევიკურმა ჯარებმა მემოვეიტია აღქოსავლეთით. იცოდეთ, რომ ძაი გამარჯვებანიშნავს ერის თავისფლების, ხალხის ნაშრომის და ნაამაგირის სამუდამოთ დაღუპვას და ჩვენი ბალშევიკთა მშეირი ბრბოების უსაშინელეს ტირანია მი ჩავარდნას.

დადგა ჟამი ჩვენი ყოფნა არ ყოფნისა. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართველური მამაცობა, თავის დადება, ერთობა, და მტერი ძლეული იქნება.

საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოსევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკია.


აიღეთ ხმალი ხელში, აამუშავეთ ქალი და კაცი, შექმენით ახალ-ახალი რაზმები, დაიცავათ შვიგნით სასტიკი წესიერება, ალაგმეთ მოლაღატენი და ორგულნი, იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბალშევიკები გაგძარცვავენ და გაგულეტებ. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება.

შეაჩეოთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოკიდეთ ხელი მარტოდ მარტო თავის დაცვას. მეტა მეტაპარი, მეტი იარაღი, მეტი სუ-სათი, აი რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს უნდა მოგვაწოდოთ ყოველ დღე გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შეექმნათ ერთი მაღიანი თავგახწირული ძალი და ჩვენს ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველენნი.

ქართველო ხალხო, ხელი ხალის იკარ, მტერთა იამიან ხანია!..

საქართველო მოკვავება, მაგრამ მტერს არ დანებდება!

მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. შორდენია.**



ლენ. ი. გულევანაშვილი.



გენ. ჯიჯინია.

სხვა და სხვა ნაწილების უფროსები და მათი თანამეშვენი.




პაღკ. ნიშიაშვილი.

სახ. გვარდ. ცხენ. დივიზიონის უფროსი.




კარგარეთელი.

სახ. გვარდ. საარტ. ბრიგადის უფროსი.



პაღკ. ცომია.

სახ. გვარდ. ტფ. საგ. ბათალიონის უფროსი.



ნ. შდენტ.

სახ. გვარდ. საარტ. ბრიგ. უფორ. თანამეშვენი.



სამალაღდევის რაიონის გვარდიელები, დასოცილნი მტრებთან ბრძოლაში.



ნიზანაშვილი ვასილ. სტურუა გლადიმერ. ჟამერაშვილი ერმ. ლ. ახვლედიანი შიტ.
 მოკ. ცხინვალში 1918 წ. გარდაიცვალა 1919 წ. 27 იან. ეკატერინფ. მი-
 ლეულ კრილობისაგან. გარდაიცვალა 1919 წ. 22 თებ. სოხ. ფრონტ. მიღებულ კრილობისა-
 გან. გარდაიცვალა 1919 წ. დავადმყოფა სოხ. ტყვეთ ყოფნის დროს. გარდაიცვალა 1919 წ. ს თებერვალს.




შაშლაძე ვარლამ. კობულაშვილი ვასილ. ნარიშანიშვილი ალექ. ბროძელი ისაკ.
 მოკ. დუშეთის ფრონ. მოკ. ცხინვ. 1918 წ. მოკ. ეკატერინოფ. ლ. 1918 წ. 19 თქ.

დიდება ბრძოლის ველზე დასოცილ ჯარისკაცებს, სახალხო გვარდიე-
ლებს!

ნეტარება მათ, ვისაც წილად სვდათ ისტორიულ ომში ღირსეული
სიკუდილი...

უკდავი ხსოვნა ომში დაღუპულ მებრძოლთ...





დეკაშვილის გვარდიის მთავარი შტაბი

საქართველოზე მუხანათურათ თავდასხმის გამო.

ახალციხე. ახალციხის ყველა მცხოვრებლები მტრის ვერაგულად თავდასხმის გამო ძლიერ აღელვებულნი არიან და მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ, მზად არიან პირველ გამოძახილზე ეკვეთონ მტერს.

შტაბი.

ბათუმი. მტერი ვერაგულად, მუხანათურად თავს დაგვისხა. იგი ცდილობს ჩვენს განადგურებას, მარა ამას ის ვერ მოესწრება. მთელი ბათუმი ფეხზე სდგას. ელის დაძახებას.

შტაბი.

ყვირილა. მთელი ხალხი აზვირთებული, ფეხზე სდგას მტრის მუხანათურად თავდასხმის გამო: ველით ბრძანებას, რომ მტერს შევანანოთ.

შტაბი.

ქუთაისი. მთელი ქუთაისის ხალხი, როგორც ერთი კაცი, მზად არის თქვენს პირველ დაძახებისთანვე გაეშურონ ფრონტისაკენ. ვუცდით ბრძანებას.

შტაბი.

სამტრედია. ხალხი ღელავს; ითხოვს ფრონტზე საჩქაროთ წასვლას, მთლად გამოწვევას.

შტაბი.

თელავი. მტრის მუხანათურად თავდასხმის გამო ხალხი აზვირთებულია, ითხოვს ფრონტზე წასვლას, რომ თავხედა მტერი ღირსეულად დასაჯოს.

შტაბი.

დუშეთი. დუშეთი ფეხზე სდგას. დიდი და პატარა ყველა ელის ბრძანებას ფრონტზე წასასვლელად. სალამი ჯარს და გვარდას. სიკვდილი მუხანათ მტერს.

შტაბი.

ფოთი. მზაკვარი მტერი თავს დაგვისხა. ფოთის ყველა მცხოვრებლები დარაზმულია და უცდიან დაძახებას ფრონტზე წასასვლელად...

გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს.

შტაბი.

საგარეჯო. მთელი გარეთ-კახეთის რაიონები აღელვებულია სომხეთის საზიზღარ ღალატით. ყველა გამზადებულია. ელიან თქვენ ბრძანებას. მტრებს დაანახებენ კახეთის შვილები, თუ როგორი იქნება მოლაღატეთა დასჯა.

გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს ჯარს და სახალხო გვარდიას!

გარეთ-კახეთის საოლქო შტაბი.

გორი მობილიზაცია სასწრაფოდ დამთავრდა. სახალხო გვარდია აღრთოვანებით გაემგზავრა ფრონტზე. მხედრები დიდი სიხალისით ცხადდებიან. ხალხის სულიერი განწყობილება არაჩვეულებრივია.

გორის საოლქო შტაბი.

სიღნაღი. მთელი ხალხი ფეხზე დადგა. მობილიზაცია დანიშნულ დროზე ადრე მოხდა. საშინელ ზიზღს იწვევს ხალხში „წითელ არმიელების“ თავდასხმა. ფრონტზე სიხარულით მიდიან.

გაუმარჯოს ფრონტს!

სიღნაღის შტაბი.

ხაშური. სომხეთის „წითელი“ ჯარების ქურდულად თავდასხმის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ხალხს. მთელი ხალხი აღელვებულია. მოითხოვენ სასტიკ ბრძოლას მობილიზაცია არაჩვეულებრივ სისწრაფით მიდის.

ხაშურის შტაბი.

მთიულეებიდან მთელი ხალხი ფეხზე სდგას ძველი მამაცი მთიელები ვიბრძოლებთ დაუნდობლად მტრის წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყალს არვის დავუთმობთ.

მთიულეები.

ყაზბეგი. სამშობლოზე თავდასხმის გამო მთელი ხალხი აღელვებულია. დიდი და პატარა ბრძოლის ველზე გამგზავრებას მოითხოვს. მთიელები მზად არიან და მოლაღატე მტრებს დაანახებენ თუ როგორი თავგანწირვა იციან. სალამი საქართველოს ლაშქარს. ფრონტს. სასწრაფოდ ჩვენც მათთან ვიქნებით და დავღვრით სისხლს.

მთიულეები.

ბათუმი. გულის ტკენით გავიგე მუხანათური თავდასხმის ამბავი. დაე იცოდეს ყველამ, გაერთიანებული საქართველოს მამაცი ლაშქარი გაწითლების მოსურნეთ თავხედობას შეანანებს და სამშობლო მიწა-წყალის არც ერთ მტკაველს აღარავის დაუთმობს. მოუწოდებ ჩვენი დევ-გმირი ფრონტის ზურგის გასაძლიერებლათ მუშაობა გაასკეცონ. როგორც ორი წლის წინათ დღესაც მზათ ვარ შვილებით სამშობლოს სამსხვერპლოზე გამოვიდე. მოვისწრაფი და სადაც უფრო საჭირო ვიყო იქ მიმსახურეთ.

სალამი და გამარჯვება ჩვენს არწივებს ჯარსა და სახალხო გვარდიას.

იოსებ იმედაშვილი.

დეკაშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო.

(იხ. „ს. გ.“ № 5).

უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო ჩვენმა რედაქციამ მიიღო მისალოცი დებულები. გვილოცავენ: დუშეთიდან-დუშეთის მრავალრიცხოვანი მიტინგი; ყაზბეგიდან-სოფელ სნის მცხოვრებნი; ჩოხატაური-

დან-სახ. გვარდიის ადგილობრივი მცვენი; ჭიათურიდან-მრავალრიცხოვანი მიტინგი; აშაგასერალიდან-გვარდიის ცხენოსანთა პოლკის მიტინგი. საჩხერედან თემის მრავალრიცხოვანი მიტინგი. აშაგასერალედან-ფრონტზე მყოფი სამეგრელოს პირველი ბატალიონი. ვორონცოვკიდან-კახეთის სახალხო გვარდია. მუხიანიდან-ფარცხანაყანევის მრავალრიცხოვანი მიტინგი. ყაზბეგიდან-დარიალის კარის მცველნი, სტეფანწმინდელნი. სოფუთბულახიდან-სამეგრელოს მეორე ბატალიონი. ოზურგეთიდან-მრავალრიცხოვანი მიტინგი და ოზურგ. ქალაქის თვითმართველობა. აშაგასერალიდან-მესამე ჯგუფის მარჯვენა ფოთის ყველა ნაწილები. ტყიბულიდან-ტყიბულის მალაროების მუშები და მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ეკატერინოვკიდან-სამნეო და საიარაჯო გახყოფილეთა შემადგენლობა. ეკატერინოვკიდან-ბორჩალოს გვარდიელები. ვორონცოვკიდან-საველე შტაბი. აშაგასერალიდან-მესამე ჯგუფი. ტყიბულიდან-მალაროებში მომუშავეთა პროფეს. კავშირი. ტფილისიდან-ქაოთველ მსახიობთა კავშირი დუშეთიდან-ახალგორის მრავალრიცხოვანი მიტინგი. ვალიდან-ვალის სამაზრო ყრილობა. ახალსენაკიდან-თეკლათის თემის მცხოვრებთა კრება. ეკატერინოვკიდან-ბორჩალოს მოქალაქეთა დიდი მიტინგი და სხვ.


საქართველოს ახალგაზრდებო!
სამშობლოს აუასაკები
შემოესიენ...
საქართველო ომშია
განგეული...
ჩვენი საუკეთესო ძმები
ბრძოლაში იღუპებიან...
გასწით ფრონტისკენ..




გარე კახეთის გვარდიელები, დასოციალნი მტრებთან ბრძოლაში.



ლშაყმაშვილი იოსებ. კვერაშვილი თეოდ. კობტაშვილი მინხელ. გეჯაძე გიგა.
მოკ. ადერ. ფრონტ. 1920 წ. 15 მაისს. მოკ. ახალციხის ფრ. 1919 წ. 9 მარტს. მოკ. ახალციხის ფრ. 1919 წ. 9 მარტს. მოკ. ადერ. ფრონტ. 1920 წ. 5 მაისს.



ლფ. ბერძე რაუდენ. კურატიშვილი ალექსი. პაპიაშვილი ალექსი. თინაშვილი სანდრო.
მოკ. ადერ. ფრ. წი-თელ ხიდთან. 1920 წ. 12 მაისს. მოკ. ადერბ. ფრონტზე 1920 წ. 15 მაისს. დაიღუპა ცხინვალის ფრონტზე. 1920 წ. ივნისში. მოკ. ადერ. ფრონტზე 1920 წ. 15 მაისს.



კუპრაძე ალექსი.

მოკელ. ადერ. ფრ. 1920 წ. 12 მაისს.

საქართველო საუკუნო
დიდების შარავანდედით
შემოსავს მამულისათვის
ბრძოლაში დაღუპულთა

სახელებს



კავთუაშვილი იოსებ.

მოკ. ადერ. ფრ. 1920 წ. 15 მაისს.



ჭარისკაცთა და გვარდიელთა ლექსები და ნერიკები.

ოფიცი ბაიკით.

„დაჰკარ, დაჰკარი“! შმაგურ ბრძოლაში
 ჰყვიროდა გელა, მოხუცი თუში,
 და ისე ხტოდა მტრისა ცხედრებზე,
 თითქოს ქორწინობს; და ისმის ტუში.
 აგერ გურულმა, ჩვენ მოლაღატეს
 ტარამდე ჩასცა გულში ხანჯალი
 და მის დამხობით მან მოიხადა
 სამშობლოს წინა თავისი ვალი —
 შეხეთ კახელსა, რა სიძლიერით
 წაუქცევია ძმის გამყიდველი:
 ხერხი არ უნდა. ძისი დაცემით
 გული იჯერა, მიუშვა ხელი.
 და იმერელი, ფიცხი ყოველთვის
 აბრუებს მტერსა ბრძოლის ყიყინით
 და კორიანტლით მას გზას უბნელებს,
 დაჰქრის, ნავარდობს ვეფხურის ჟინით.
 ვერ ხედავ ქარაღელს, როგორ სიმშვი-
 დით
 მარჯვენა და მარჯვენა იქნევს სატევარს?
 წარბ მეუხრვლათ მტრათ ქცეულ სის-
 ხლში
 ბრძოლის სურვილებს, უღვიძეს მოყ-
 ვასს

და გარდაქმნილი ნაწრაობ ფოლადით
 ცხენის ქიხინით მოჰქრის მთიელი,
 ჰეი, მარჯვე ქნევით, ბრძოლაში ხმლითა
 დახოცილ ტრებით ვაავსო ველი.
 ველოდით შენგან მაგ შუბის წვერზე
 მტრის თავის ტრიალს, მაჯვე ფშაველო,
 ჰეი, მხედრებო, თქვენგან გაძოხსნას
 ელის პატარა დღეს საქართველო!

გიორგი გო.ა.ა.ა.

გვარდიას და ჯარს

ჩვენს სამშობლოს ცის კიდურზედ,
 შევბის სხივი აღმობრწყინდა,
 გზა მშრომელი ხ.ლხისათვის
 გაიკაფა, გაიწმინდა...
 ისევ კიდევ ტლანქმა მტერმა,
 საბრძოლველად დაკრა ზარი.
 ბრძოლის ველებს უხვ სისხლით რწყავს
 გვარდია და მთელი ჯარი.
 მაგრამ მაინც ჩვენს რაინდებს
 მტკიცეთა სწამთ მომავალი,
 სისხლს ღვრიან და გულში უძვებს
 სამშობლოს ტრფობის აღი.

ა. კალანდაძე.

* *

თავისუფალ საქართველოს
 კვლავად მტერი ევლინება,
 მაგრამ მედგრად გამოსჭვივის
 ქართველ ხალხის მტკიცე ნება.

საქართველოს ურდოები
 წამ-და-უწუმ თავს ესხმოდენ, —
 მაგრამ ბრძოლას ისინი კი
 დამარცხებით ათავებდენ.

და არა ერთს ქართველთ მტერსა
 გაეთხარა აქ სამარე;
 ისევ ეხლაც „კომუნისტთა“
 ქართველ ა რისნვა მწარე.

მაშ, კვლავ, ძმებო, ბრძოლისაკენ
 ფეხზე დადგეს მთელი ერი,
 დავსცეთ ბუკი და ნალარა,
 ვასაფლაოთ ჩვენი მტერი.

ჯარისკაცო ივ. გ. — შვილი.

მელაღატეებს.

თქვენ გეუბნებით, ჰეი, სტუმრებო!
 ჩვენი ჰერის ქვეშ რომ ჰპოვეთ ბინა.
 და მასპინძელმა უხემა, პურადა,
 თქვენთვის რომ ვარდი ააბიბინა.
 მაშინ ხომ გახსოვთ, სიტყვას გვაძლევდით,
 სიტყვას მეგობრულს, უმწიკვლოს ყოველად
 და დევნილები ქარ-წვიმა-ცეცხლით,
 ჩაგასახლევით ქალაქად სოულად.
 ვინც დღეს სიცოცხლე გაჩუქათ თქვენა
 მის დასამხობათ ამართეთ ხმალი,
 მაშინ, როდესაც, კაიაფებო,
 გაითბეთ თქო და ხერხემალი?!!!

გიორგი.

მთელი ქვეყნის მაგალითისათვის.

(წერილი ფრონტიდან)

საქართველოს მთავრობის ერთი მოწ-
 ოდებისათნავე ერთხმად იგრილა მხედ-
 რობამ: გვარდიამ და ჯარმა, მობოძოქრე
 ზღის ტალღებით მიაწყდენ ისინი ჩე-
 ნი ქვეყნის საზღვრებს... ისინი მოწყდენ
 თავიანთ პირად საქმეებს და განოთხო-
 ვებისას ერი ი მეორეს შესძახოდენ ქიშკ-
 რებზე: სამშობლო მოგვიწოდებს შეიარ-
 აღებისაკენ... და ვისაც გული გერჩით
 მისთვის, ის უკვე განსაცდელშია... მის

წინააღმდეგ დარაზმულონ შავი თუ წითე-
 ლი იმპერიალისტური ზრახვებით აღსა-
 ვსე ჩვენი შეურთებელნი მტერნი. და
 ვის გულშიაც ღრმად არის დანთებული
 საქართველოს სიყვარული, ვისაც სატრ-
 ფოდ გაგებდათ რევოლიუციონური სა-
 მშობლო და მისთვის იწვიოთ, ის უცი-
 ლოთ ჩვენთან ერთად წამოვა და თავგან-
 წირვით შეებრძოლება ჩვენი ქვეყნისა და
 და თავისუფლების მუხანათ მტრებს.“

აი ამხანაგური გამოძახილი, რომელმაც
 ააფეთქა ქართველ ხედრობაში სამშობ-
 ლოს საყვარულის გრძნობა და მის საზ-
 ღვრებზე სალ კლდესავით მემოარტყა
 ერთი მიზნითა და ინტერესით გატაცებ-
 ული ჯარი და გვარდია...

ჩვენ დღეს ფრონტზე ვდგავართ უკვე
 ძესაძე თვეა. თოვლიან-ყინულიან ველ-
 გორაკებზე ცივი სუსხი გვისისინებს...

მაგონ რომ იცოდეთ, ეს მწარე გან-
 ცდები რაქდენად ძლიდირა თავის ტკბი-
 ლი და სანეტარო შედეგებით?!

ჩვენ ვიბრძვით სამშობლოსათვის, მაგ-
 რამ სამშობლო განა ყველას ერთნაირია?
 რამდენ საწყალ მხედრობისათვის ურგუ-
 ნებია ბედს, თავგანწირვით დაიცვას,
 იბრძოლოს ჯერ კიდევ ისეთი სამშობლო-
 სათვის, რომელიც ბნელეთს წარმოად-
 გენს, რომლის სახელმწიფოებრივი ფორ-
 მა შავი მიზნებითა და ბარბაროსული
 იდეებითაა გაუღნთილი.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა ხომ ამ მხრივ
 სრულიად განირჩევა ყველა ერებისაგან,
 რომელმაც რუსეთთან ერთად დაამსხვრია
 ძველი დახავსებული ცარიზმი... განითა-
 ვისუფლა თავი მისი მონობისაგან და
 დაისახა საკაცობრიო მიზნები სანეტარო
 წყობილების დამყარებისადი, საითკენაც
 ის მიისწრაფვის წითელი დროშებითა და
 რევოლიუციონური იდეებით გამსჭვალ-
 ული...

საქართველოს შეიარაღებულ რევოლ-
 იუციონური ლაშქრობისათვის არ არსე-
 ბობს არავითარი დაბრკოლება... ის არ
 შედრკება არავითარ მტრისა და საფრთ-
 ხის წინ. ეს, კარგათ იცოდეს ჩვენმა
 რევოლიუციონურმა მთავრობამ და უმა-
 ლღესმა ორგანომ, ჩვენმა დამფუძნებე-
 ლმა კრებამ.

მთელი ქვეყნის ორი ერთი-მეორის
 უმთავრესი მოწინააღმდეგე კლასს: ერ-
 თის მხრივ გაბატონებული ბურჟუაზია
 და მეორეს მხრივ: მუშათა კლასის მეც-

ნიერ-თეორეტიკოსნი, თავის თეორიათა პრაქტიკაში და სინამდვილეში განხორციელების იმედს აქ, ჩვენს ქვეყანაში სჭკრეტენ...

ქართველი მხედრობა: ჯარი და გვარდია, რომელზედაც არის დაყრდნობილი უმთავრესად საქართველოს ბედ-იღბალი, პატიოსან სიტყვას სდებს თავის ხალხის — დემოკრატის წინაშე, რომ ის თავის მედგარი რევოლუციონური ინტერესებით ხელს შეუწყობს ჩვენს სახელმწიფოში სოციალისტურ-მართველობას, რათა თავის ნაცადი გზით მიაღწიოს დასახულ მიზანს და გაამართლოს მსოფლიო სოციალისტთა იმედები მოპირდაპირე კლასის ინტერესების საზარლოთ...

აი, ამ დიდი მაგალითისათვის საქართველოს მხედრობა მზათ არის თავის თავი უარყოს სამშობლოსა და მსოფლიო პროლეტარიატის სასარგებლოთ...

იმერეთის 1 ბატალიონის სახ. გვ.

მ. არჯ—ძე.

სახ. გვარდიის საგანგებო ბატალიონი

30 იანვარს ბ-ში მოვიდა ცნობა, ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციის მიერ საქართველოს იურიდიულათ აღიარების შესახებ. მაშინვე ბ-ნი გამოვიდა ქუჩაში და მონაწილეობა მიიღო მოქალაქეთა საერთო დემონსტრაციაში. ბ-ნი პირველათ გაეშურა სასახლისკენ, სადაც მათ სიტყვით მიმართა შთაფრობის თავმჯდომარემ ნ. ნ. ჟორდანიამ.

მან მოკლეთ სთქვა შედეგი. „ამხანაგებო. ამ სამი წლის უკან, როცა ჩვენი დემოკრატია საფრთხის წინაშე იდგა და ჩვენი თავისუფლება განსაცდელში იყუფებოდა, მაშინ თქვენ პირველათ შემოკრებით და შექმენით ის პატარა წრე, რომლის გარშემო შემდეგ შემოიკრიბა გვარდია და ჯარი. საგანგებო ბ-ნი მართლა

საგანგებო იყო, როგორც თავისი რევოლუციონური შეგნებით, ისე ბრძოლის უნარით. თქვენ არც ერთ ფრონტზე არ გილალატნიათ იმ წითელი დროშისთვის, რომელსაც მისდევს მშრომელი ხალხი. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არ დაგკლებიათ არც ერთი ფრონტი და ყველგან პირნათლათ ასრულებთ თქვენს მოვალეობას. გაჭირვება და შავი დღეები განვლეთ ამ სამი წლის განმავლობაში. დიდი ხანია მე თქვენ არ მინახავხართ და დღეს შევხვდით ერთმანეთს ამ საზეიმო დღესასწაულში. მოგილოცავთ, ამხანაგებ-

რეზი აღმრზებიჯანთან

რეზა თვის წინეთ.



სახალხო გვარდიის ოფიცერი ნიკო გოცაძე, აღმრბეიჯანის ტყვეობიდან და ბრუნების დღეს, ტფლისის სადგურზე. ტყვეობის დროს ცემისაგან დასნეულებული გარდაცვალა მეხუთე დღეს 5 წლის.


მოქალაქენო

სიტუტვლე, შიმშილი დარბევა და განადგურება, აი რით მუქრება ჩვენს ქვეყანას წითელი იმპერიალიზმი!

თავგანწირულად შევებრძოლოთ მას!
გასწით ფრონტისკენ!

აღმარების ფრონტზე

რვა თვის წინეთ.



საველე შტაბის თათბირი იერიშის წინ.

ბო, ამ დიად დღეს თქვენი მიზნები თან-და თან ხორციელდება და ნაყოფს იღებს უდიდეს გამარჯვების დღეს. თქვენვე ხედებით. საგანგებო ბ-ნი ის კოდე იყო, რომელზედაც აშენდა და რომლის გარშემო თავი მოიყარა რესპუბლიკის შე-იარაღებულმა ძალამ, ჯარმა და სახალხო გვარდიამ.

საგანგებო ბ-ნი მთელ რესპუბლიკაში განსაკუთრებული იყო და პირველი ადგილი ეჭირა. გაუმარჯოს საგანგებო ბ-ნს, გაუმარჯოს მის ბრძოლას“. ეორდანიას სიტყვა „ვაშამ“ და საერთო ტაშის ცემამ დაფარა. აქიდან ბ-ნი გაეშურა მისიების ბინე-ბისაკენ. პარველად ინახულა გერმანიის წარმომადგენელი ულრიხ რაუშერი, რომელსაც ბ-ნის უფროსმა გადასცა ჩვენი სიხარული ამ დიადი აქტის გამო და აგრეთვე გადაუხადა მადლობა, რომ გერმანიამ პირველად აღარა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობა „de jure“-დ და ამით მაგალითი მისცა სხვებსაც. საპასუხო სიტყვაში რაუშერი მისალმა გვარ-დიას და მიულოცა მას დიადი დღე. შემდეგ ბ-ნმა ჩამოიარა საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის მისიები, რის შემ-დეგ დაბრუნდა თავის ბინაში.

გვარდიელი.

საგ. ბათალიონის ფრონტზე გა-მკვარება.

კვირას, 13 თებერვალს საგ. ბ-ნის ეზოში გვარდიელები ჩამწკვრივებულნი ელიან ფრონტზე გამგზავრებას. ამხ. ვ. ჯუღელმა მოკლე სიტყვით მიმართა ბა-

თალიონს. მან აღნიშნა საგ. ბათალიონის გმირული წარსული, რომ ის ერთად ერთი ბათალიონია, რომელიც არსად არ დამარცხებულა, მიუხიდავთ მრავალი ბრძოლისა, რომლებიც მას თავს გადახ-და. „სამი წელია, ამბობს ვალიკო, განუწყვიტეო ომებში ვართ და არც ერთ ჩვენს მტერს ჩვენთვის ომი არ გამოუცხადებია, ყველა ქურდიულათ, ავაზაკურად გვისხმობდა თავს, მაგრამ ქართველი დემოკრატია გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდიოდა და ყველა მათგანს მუს-რავდა. სომხეთი თავს დავევსხა და მუხანათურად უნდა ჩვენი გასრესა და აწიოკება. ჩვენ დაუმტკიცოთ მუხანათ მტრებს, თუ როგორ ვიცით ბრძოლა და თავის დაღება. ამხანაგებო! მოიგონეთ ჩვენი დაღუპული ამხანაგების ანდერძი, მოიგონეთ მათი წმიდა საფლავები, მოიგონეთ მათი გზა, რომელიც ნარ-ეკლით არის მოფენილი, მაგრამ ჩვენ მას არ ვუღალატებთ სანამ ცოცხლები ვიქნებით და არ შეურაცყოფთ იმ წმინდა დროშას, რომლის ქვეშ სამი წელია რაც სახალხო გვარდია იბრძვის“. ჯუღელის სიტყვის შემდეგ გვარდიელებმა მუსიკით მწყობრათ გაიარეს რუსთაველის პროსპექტზე და შეჩერდნენ დამფუნებელი კრების წინ. იქ ბ-ნს მისალმენ სამხ. მინისტრი, მთავარ-სარდალი, დამფ. კრების თავმჯ. უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე, ს. ჭიბლაძე და ფრაქციების წარმომადგენ-ლები. ბოლოს ილაპარაკა საგ. ბათალიონის გვარდიელმა. ამხ. პ. სვანიძემ: „საქართველომ გადალახა აუარებელი და-ბრკოლებანი, აუარებელი უბედურება და

საშიშოება და დაუმტკიცა მთელ კაცო-ბრიობას, რომ ის ღირსია დამოუკიდებ-ლი არ ებობის და იურიდიულათ ცნობის დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა უკვე შესულია საერთაშორისო ოჯახში სრულ უფლებიან წევრათ, გაცილებით მეტი სიმტკიცის და ენერჯის გამოჩენა გვმარ-თებს, ვიდრე აქამდის. დე, იცოდენ ჩვენ-მა მტრებმა, თუ როგორის თავგამოდებით დავიცავთ ჩვენს ხალხს, ჩვენს რესპუბლი-კას მტრების აოხრებისაგან და ფიცსა ვსდებთ მთვრობის, დამფუნებელი კრების და დემოკრატის წინაშე, რომ არავის მივსციმთ ნებას შეურაცყოფის ჩვენი ამ-ხანაგების სპეჩაკი სისხლით შეღებილი წითელი დროშა, რომ ძირს დასცეს და ტალახში ამოსვაროს იგი. აქ მყოფი გვარ-დიელები ფიცს ვსდებთ, რომ მტერს სამარცხვინოთ ზურგს არ ვაჩვენებთ და ერთ მტკაველ მიწასაც არავის დავანე-ბებთ. საგ. ბათალიონმა ჩამოიარა სასახ-ლის წინ, გაძლიერს სიტყვას და ფიცს: გავიმარჯვებთ!—რამდენიმე ხნის შემდეგ საგანგებოთ გამარჯვებულნი დროშით ამოვივლით ამ სასახლის წინ. კიდევ ფი-ცს ვსდებთ, რომ ჩვენს მოვალეობას პირნათლათ შევასრულებთ ქვეყნის და ხალხის წინაშე. მივემგზავრებთ. მშვიდო-ბით ბრძანდებოდეთ, ქართვე. ხალხის წარ-მომადგენელნო“. გვარდიელის სიტყვამ აღფრთოვანება გამოიწვია მაყურებლებში. ბ-ნი დაიძრა და გამგზავრა ფრონტზე ამხანაგების მისაშველებლათ.

გ. ლეკიშვილი.

ადარგიჯანის ფრონტზე

რვა თვის წინეთ.



წითელი ჯვრის კარვები.

სახალხო გვარდიის მუდმივ ნაწილების კულტ.-განმანათლებელ სექციას, საოლქო და სარაიონო შტაბებს, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სექცია

გაცნობებთ, რომ ყველა მასალები ჟურნალ „სახალხო გვარდიელი“ დასაბეჭდათ გამოგზავნილი, უნდა იყოს თქვენ-მიერ შემოწმებული.

წერილები უნდა იწერებოდეს მოკლეთ და უმთავრესად გვარდიის ცხოვრებიდან.

უნდა იგზავნებოდეს: გვარდიელთა კრებების, სარაიონო და საოლქო ყრილობების ანგარიშები, კულტურულ-განმანათლებელ და სამეურნეო მოძრაობის შესახებ ცნობები და სხვა-და-სხვა.

მთავარ შტაბის კულტ.-განმანათლ. სექცია

მოქალაქენო!

უკვლადფერი ოძს... უკვლადფერი ფრონტს...

არ დაივიწყოთ: გადამწვევები ოძია...

ალ. გვიჯანის ურონთზე

რვა თვის წინეთ



მოსაზღვრე სადარაჯო გუნდი

„სახალხო გვარდიელი“

ჯერ-ჯერობით ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ გამოდის თვეში ორხელ. ჟურნალში მოთავსებული იქნება სოციალისტური, პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წერილები, ისტორიული ცნობები სახალხო გვარდიის მოძრაობიდან, მხატვრული ნაწარმოები, ოფიციალური ცნობები მთავარი შტაბისა, ომებში დაღუპულ მებრძოლთა სურათები და ბიოგრაფიები და სხვა და სხვა.

ჟურნალის №-ი ეღირება 100 მანეთი. გამოვა ყოველი თვის 1-ს და 15-ს. გამოგზავნილი მასალები პროვინციებიდან უნდა შემოწმებული იქნას ადგილობრივი შტაბების სექციებისგან.

ერილები და ფული გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თფილისი, მთავარი შტაბის კულტურული სექცია.



გამომცემელი—სახ. გვ. მთავარი შტაბის

კულტურულ-განმანათლებელი სექცია.

სახელმწიფო სტამბა.